ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №21

03.08.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **გიორგი ახვლდენიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
2. **მარიკა დარჩია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **ანა ლაშხი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **ილია ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. **ლევან დარახველიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. **გიორგი ჩაკვეტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **მაია ბითაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;

3. **დავით ასანიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **მერაბ ბოლქვაძე** - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენელი;
5. **მამუკა სალუქვაძე** - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენელი;
6. **გიორგი აბაშიძე** - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენელი;
7. **ანა გაბრიაძე** - ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცის“ თავმჯდომარე;
8. **ზურაბ კერესელიძე** - გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;
9. **გიორგი შერგილაშვილი** - ინჟინერ-კონსტრუქტორი;
10. **ზურაბ ბაქრაძე** - ქალაქმგეგმარებელი (ურბანისტი);
11. **თემურ კალანდაძე** - არქიტექტორი (იურისტი);
12. სხვა მოწვეული სტუმრები.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 5 ივლისის №12-03181862-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებლები: ა(ა)იპ „სითი ისნტიტუტი
საქართველოს წარმომადგენლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის წარმომადგენლები/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის საკითხი - მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 5 ივლისის №12-03181862-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა რ. სოხაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მიწათსარებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტის განხილვა დაწყებულია და მიმდინარე სხდომაზე ყურადღება გამახვილდება განახლებული მიწათსარგებლობის გეგმის პროექტით გათვალისწინებულ რეკრეაციულ სივრცეებსა და ეკოლოგიურ მიმართულებებზე. ხოლო მომხსენებლის მიერ სიტყვით გამოსვილის შემდეგ სხდომა გაგრძელდება კითხვა-პასუხის რეჟიმში.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარადგინა ბ-ნმა მერაბ ბოლქვაძემ (ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენელი).

ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ ისაუბრა დედაქალაქის მიწათსარებლობის განახლებული გენერალური გეგმის ისეთ ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებების შესახებ, როგორიცაა: კომპაქტური ქალაქი, „მწვანე ქალაქი“, კარგად შეკავშირებული ქალაქი და მედეგი ქალაქი.

მომხსენებლის (მ. ბოლქვაძე) განმარტებით, „კომპაქტური ქალაქის“ კონცეფცია არის მიწათსარგებლობის მრავალგანზომილებიანი მიდგომა. ის წარმოადგენს განვითარების ისეთ პოლიტიკას, რომელიც, ერთი მხრივ, იცავს ბუნებრივ გარემოს და მეორე მხრივ, ხელს უწყობს ქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

„კომპაქტური ქალაქი“ გულისხმობს ტერიტორიების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას, მისი შეკავშირებულობის გაუმჯობესებით. მოცემული წარმოადგენს ქალაქგეგმარებით წინაპირობას დაბალანსებული საცხოვრებლის, დასაქმებისა და დასვენება-რეკრეაციის განვითარებისათის.

მიდგომის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია ხელი შეეწყოს ისეთ განვითარებას, რომელიც ითვალისწინებს დეგრადირებული და უფუნქციო ტერიტორიების რევიტალიზაციასა დ შერეულფუნქციური გარემოს ჩამოყალიბებას.

ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ ყურადღება გაამხვილა „მწვანე ქალაქის“ როგორც თბილისის გარემოსდაცვითი და სარეკრეაციო პირობების გაუმჯობესების ერთიან კონცეფციაზე. მის ფარგლებში თბილისის ბუნებრივი და ხელქმნილი გარემო განიხილება ერთიან სისტემად და ხაზი ესმევა მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

მიდგომის მიზანია გაიზარდოს ქალაქის კომფორტულობა და უსაფრთხოება მისი ლანდშაფტების გათვალისწინებით.

მოცემული კონცეფცია გამოყოფს თბილისისთვის განმაპირობებელ სამ ძირითად ელემენტს, რომელთა დაცვა-განვითარება და ვიზუალური ხაზგასმა პრიორიტეტულად უნდა განისაზღვროს ყველა იმ აქტივობისათვის, რომელსაც ცვლილება შეაქვს თბილისის არქიტექტურულ და ურბანულ იერში. ეს ელემენტებია:

- მდ. მტკვარი და ქალაქის ნაშენი ნაწილის მასთან ისტორიული ურთიერთდამოკიდებულება.
- თბილისში არსებული მცირე მდინარეები (მათ შორის, მდ. მტკვრის 53 შენაკადი).
- განაშენიანებული ნაწილის გარეთ არსებული თბილისის ლანდშაფტი, რომელიც ძირითადად გამოხატულია მთა-გორიანი რელიეფით.

მოცემული ელემენტებისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომი სახის შენარჩუნება და მათდამი წვდომის ზრდა წარმოადგენს ქალაქგანვითარებით პრიორიტეტს.

მწვანე ქალაქის კონცეპტუალური მიდგომის პრაქტიკაში გადატანა და მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვა ხდება ზონირებითი ხელსაწყოებით შემდეგი ძირითადი დებულებების გათვალისწინებით:

- „მდინარე და ქალაქი“ (მდ. მტკვრის ნაპირების სარეკრეაციო განვითარების პრიორიტეტულობა და ქალაქსა და მდ. მტკვარს შორის არსებული კულტურული კავშირის ხაზგასმა).
- მცირე მდინარეებისა და მათი კალაპოტების გახსნა-გამონთავისუფლება.
- ერთიანი მწვანე სივრცეებისა და ბაღ-პარკების განვითარება.
- ქალაქმშენებლობითი შეზღუდვებით გაუნაშენიანებელი და განაშენიანებული ტერიტორიების გამიჯვნა.
- „ბრაუნფილდების“ (ყოფილი, ფუნქციადაკარგული საწარმოების) ხელახალი გამოყენებისათვის სარეკრეაციო და მწვანე ფუნქციების მინიჭება.
- თბილისის ცენტრალური მულტიფუნქციური არეალის გეგმარებითი განვითარებისათვის სარეკრეაციო და მწვანე ფუნქციების პრიორიტეტიზაცია.
- პოლიცენტრული განვითარება.

„მწვანე ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებია:

- შემცირდეს ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება ქალაქის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ მინიმუმამდე, ბუნებრივი ლანდშაფტების მკაცრი დაცვით გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე და მისი სიკეთეების ეფექტიანი, ოპტიმალური გამოყენებით ქალაქის ნაშენ ნაწილში.

- თბილისის სარეკრეაციო სისტემა დაეფუძნოს ბუნებრივი გარემოს ელემენტებს - ნაშენი ტერიტორიების გარეთ არსებულ, ბუნებრივ ლანდშაფტს, მტკვრისა და მცირე მდინარეების სანაპიროების გასწვრივ არსებულ და დაგეგმილ ღია სივრცეებს, რომლებიც ქალაქის ნაშენ ნაწილში ერთიან სარეკრეაციო ქსელს შექმნიან.
- მტკვრისპირა სარეკრეაციო სისტემამ, ერთი მხრივ, უნდა დაიცვას მდინარის ჩრდილო-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული ბუნებრივი ლანდშაფტები, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს ქალაქის ცენტრალური ნაწილი მდინარისპირა ურბანული სარეკრეაციო სივრცეებით, რომლებიც ქალაქის განიავებისა და გაგრილების დერეფნების ფუნქციასაც შეასრულებს.
- მტკვრისა და მისი შენაკადების გასწვრივ, უნდა მოეწყოს უწყვეტი გამწვანებული საფეხმავლო და საველოსიპედო ბილიკების ქსელი, რომელიც ურბანული ხაზოვანი გამწვანების დერეფნებთან ერთად, ველომოყვარულთათვის და ფეხით მოსიარულეთათვის კომფორტულს გახდის ქალაქში გადაადგილებას და ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაფუძნებას.
- თბილისის გამწვანებული რეკრეაციული სივრცეები უნდა ჩამოყალიბდეს ერთიან, შეკავშირებულ სისტემად, რაც, ერთი მხრივ, გაზრდის მათ ეფექტურობას დამსვენებელთათვის ფართო, ერთმანეთთან დაკავშირებული სასეირნო თუ სავარჯიშო ქსელის შეთავაზებით და, მეორე მხრივ, იქნება კომფორტული, ეფექტური გადაადგილების საშუალება ფეხით მოსიარულეთა და ველომოყვარულთათვის.
- საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიებისა და ღია სივრცეების ფართობი, უბნების მიხედვით, ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში, ერთ სულ მოსახლეზე უნდა გასამმაგდეს და აღემატებოდეს ერთ მოსახლეზე 10-11 კვ/მ. მითუმეტეს, რომ დღეს არსებული, სხვადასხვა კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაციით, ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული სივრცის მაქსიმუმ 5 კვ.მ-ია (უფრო დაზუსტებით, მერყეობს 3,7-დან 4.5 კვ.მ-დე).

გამწვანებული სივრცეების მოწყობის თაობაზე, მოხსენებლის (მ. ბოლქვაძე) მიერ აღინიშნა, რომ თბილისის მასშტაბით 840 ჰექტარზე მეტ ფართობზე განთავსებულია ფუნქციადაკარგული საწარმოები (ბრაუნფილდები) და ამ ტერიტორიის თუნდაც ნახევრის (400 ჰექტარზე მეტი) სარეკრეაციო ფუნქციით გამოყენება დედაქალაქისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ ისაუბრა საინვესტიციო პოლიტიკასა და გარემოზე და აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, ინვესტორი ორიენტირებულია მოგების მიღებაზე და ამ კუთხით, ნაკლები ყურადღება ეთმობა სარეკრაციო სივრცეების მოწყობას.

მომხსენებელმა (მ. ბოლვაძე) ყურადღება გაამახვილა იმ ხარვეზებსა და უზუსტობებზე, რომელიც გამოვლენილ იქნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტზე მუშაობისას და აღნიშნა, რომ ოთხი შეუსაბამო განაშენიანების რეგულირების გეგმა იქნა გამოვლენილი, ესენია: გლდანის

ტბის მიმდებარედ არსებული ტერიტორია, ვაშლიჯვარში, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის უკან მდებარე ტერიტორია და ჟვანიას ქუჩის ბოლოს არსებული მიწის ნაკვეთები.

ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ ასევე ისაუბრა იმ განაშენიანების რეგულირების გეგმების თაობაზე, რომლებიც ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ რეკომენდაციით, საჭიროებს რევიზიას (სულ: 11 გრგ). განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ განაშენიანების რეგულირების გეგმებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მცირე მდინარეების კოლექტორებთან, ხევებთან და/ან ხეობებთან, მაგალითად, დიდი დიღმის, წოწორას ხევსა და გლდანში ხევძმარის მიმდებარედ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმებს.

ამის შემდეგ, ბ-ნმა მ. სალუქვაძემ ისაუბრა დედაქალაქში არსებულ ტყის მასივებსა და სატყეო ზონის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე. არსებული ვითარებით, სატყეო უბნებს არ აქვთ მინიჭებული ტყის ზონის სტატუსი, რადგან დღეს მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით“ (№20-105 დადგენილება 30.12.2014წ.) არ არის გათვალისწინებული და დედაქალაქის მასშტაბით, მხოლოდ ერთადერთ ტერიტორიაზე ვრცელდება ტყის ზონის სტატუსი, გლდანის რაიონში, თბილისის ზღვის მიმდებარედ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ზუსტად აღირიცხოს ტყის მასივები და ამის საფუძველზე მათ მიენიჭოს ტყის ზონის სტატუსი, რაც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ისეთ რაიონულ და საქალაქო პარკებთან, რომელიც გათვალსწინებულია მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმით. ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტის საქართველოს“ რეკომენდაციით განახლებულ გენერალურ გეგმაში ასეთი შვიდი საქალაქო და რაიონული დანიშნულების პარკია, მათ შორის:

1) დიღმის ჭალები (80 ჰექტარზე მეტი), რომელსაც ექნება საქალაქო პარკის ფუნქცია;
2) თემქის პარკი (ხევძმარის ერთ-ერთი შენაკადია და საჭიროებს გახსნას);
3) არსენალის პარკი (38 ჰექტარი);
4) დირსი ჭალა (დაახლოებით, 22 ჰექტრამდე ტერიტორიას მოიცავს);
5) ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მდებარეობს სატყეო ტერიტორია და უნდა შეურთდეს კრწანისის ტყე-პარკს.
6) ვაზისუბნის პარკი.

შვიდივე საქალაქო და რაიონული დანიშნულების პარკის ტერიტორია თვითმმართველი ერთეულის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და შესაძლებელია აღნიშნული პარკების ეტაპობრივად მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი.

მომხსენებელმა (მ. ბოლქვაძე) ასევე ყურადღება გაამახვილა იმ მცირე მდინარეებისა და ხევების არეალებზე, სადაც შესაძლებელია გაიხსნას კოლექტორები და მოეწყოს

სარეკრეაციო სივრცეები. ხევებთან დაკავშირებით, ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ დამატებით აღნიშნა, რომ შეიძლება მათი გამოყენება ინვენსიური შენაკადებისთვის, ხოლო ხევების სარეკრაციო ფუნქციით გამოყენების თაობაზე, შესაძლებელია გამოცხადდეს კონკურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბ-ნი მ. ბოლქვაძის განმარტებით, საერთაშორისო ორგანიზაცია CENN-ის დახმარებით ჩატარდა გეოდინამიკური საფრთხეების არეალების შემოწმება-გამოვლენა და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი იქნა წყალდაცვითი არეალები. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა წინადადებები, მცირე მდინარეების გათავისუფლებისა და მათი სარეკრეაციო ფუნქციით დატვირთვის შესახებ.

ბ-ნი მ. სალუქვაძის განმარტებით, პრობლემაა სანიტარული დაცვის ზონების მიმართულებითაც, რის გამოც, განახლებული მიწათსარგებლობის გეგმით, განსაკუთრებით, იმ საცხოვრებელ უბნებთან მიმართებაში, რომლებიც მდებარეობს სასაფლაოების მიმდებარედ, გათვალისწინებულია სანიტარული ზონები, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი ზონების სასაფალოებისგან გამიჯვნას (დაცვას).

ასევე, განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, გარემოზე ნაკლები ზემოქმედების, მდინარეებისა და ტბების დაცვის მიზნით, განხორციელდება წყალდაცვითი ზონების (გარემოსდაცვითი ზონა 3) მინიჭება მდინარეებსა და ტბებისთვის.

მომხსენებლის (მ. ბოლქვაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვა ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ (ურბანისტი):

- **თბილისის კულტურული ლანდშაფტის (ვერეს ხეობა, მახათას ფერდობი, ლოტკინის მთა) შენარჩუნებისა და დაცვის თაობაზე.**

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ დღეს თბილისში დგას კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონების პრობლემა. მაგალითად:

ვერეს ხეობა თავისი უნიკალური ბუნებით, რომელიც საჭიროებს დაცვას. ხოლო განახლებული მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის პროექტით, ვერეს ხეობის ნაწილზე არ ვრცელდება განსაკუთრებული დაცვის ზონა. განსაკუთრებით, ყურადსაღებია ვაკის რაიონში, მე-9 საავადმყოფოს უკან, ვერეს ხეობაში (ავალიშვილის ქ. „მზიურის პარკი“) მდებარე საკმაოდ დიდი ტერიტორიის საკითხი, რომელიც 2009 წელს, სტადიონის მოწყობის (მშენებლობის) მიზნით სიმბოლურ ფასად გადაეცა საქართველოს რაგბის კავშირს. მომდევნო წლებში, ტერიტორიას შეეცვალა ფუნქციური ზონა (სარეკრეაციო ზონა) ყოვლად შეუსაბამო ფუნქციური ზონით - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. ხოლო განახლებული გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ისევ შენარჩუნებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 და იგეგმება მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რაც ყოვლად დაუშვებელია. გარდა ამისა, ამავე ტერიტორიაზე (მზიურის პარკი) განთავსებულია მაღალსართულიანი

სახლები, რაც ასევე შეუსაბამოა. ასევე მოცემული ტერიტორიის ჩრდილოეთ, ჩრდილოეთ-დასავლეთსა და სამხრეთ ნაწილში საკმაოდ სერიოზული პრობლემაა შექმნილი შეუსაბამო შენობების სახით. შესაბამისად, საჭიროა გადაიხედოს ეს ტერიტორიები და ხეობაში განთავსებულ შენობებს დაუდგინდეს შეუსაბამო ნაგებობათა სტატუსი, ხოლო ვერეს ხეობას მიენიჭოს სარეკრეაციო ზონის სტატუსი.

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ ასევე ისაუბრა მახათას ფერდობისა და ლოტკინის მთის კულტურული ლანდშაფტის სტატუსის საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობაზეც. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მახათას მთის იმ ნაწილზე (სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი), სადაც განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, ინვესტორების მიერ ხორციელდება მშენებლობა.

ბ-ნი ზ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული წინადადებით, საჭიროა მახათას მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე გავრცელდეს შეზღუდვის (დაცვითი) ზონა.

ბ-ნი ზ. ბაქრაძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ, რომლის განმარტებით:

- საჭიროა ვაკის რაიონში, მე-9 საავადმყოფოს უკან, ვერეს ხეობაში (ავალიშვილის ქ. „მზიურის პარკი“) არსებულ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის მქონე ტერიტორიის საკითხის ადგილზე შესწავლა-გადამოწმება და იმ შემთხვევაში, თუ ჯერ არ არის დაწყებული მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობების მშენებლობა, განაშენიანების რეგულირების გეგმის რევიზიის ჩატარება და ტერიტორიისთვის შესაბამისი ფუნქციური ზონის მინიჭების თაობაზე რეკომენდაციის გაწევა.
- განახლებული გენერალური გეგმის პროექტის მიხედვით, მახათას ფერდობზე (მახათას მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილამდე) ვრცელდება შეზღუდვის ზონა.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ (ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე), რომელიც დაეთანხმა ბ-ნი ზ. ბაქრაძეს და აღნიშნა, რომ შეთავაზებული წინადადებები და შენიშვნები როგორც ვერეს ხეობის, ასევე მახათას მთის თაობაზე, ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მახათას მთის საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც შეთანხებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, ვერ გავრცელდება შეზღუდვის ზონა, რადგან ინვესტორისთვის რამდენიმე წლის წინ კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოსყიდვა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ბატონმა რ. სოხაძემ დამატებით ისაუბრა პრობლემებზე, რომელიც დედაქალაქის მუნიციპალიტეტს შეექმნა წლების წინ გასხვისებული (მათ შორის, სიმბოლურ ფასად) ტერიტორიების გამოსყიდვის პროცესში. მესაკუთრეებთან და ინვესტორებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (განსაკუთრებით ისტორიული ლანდშაფტისა და რეკრეაციული ფუნქციის მქონე მიწის

ნაკვეთები) დაბრუნდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. თუმცა, აღნიშნული პროცესი საკმაოდ სეროზულ მიდგომებსა და საბიუჯეტო თანხებს მოითხოვს. ამიტომ, დედაქალაქის ხელისუფლება მაქსიალურად ცდილობს კერძო, საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსებით, მოძებნოს პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი.

დაბოლოს, ბ-ნმა რ. სოხაძემ ბატონ ზ. ბაქრაძეს, როგორც ურბანისტს, სთხოვა აქტიური მონაწილეობის მიღება განახლებული გენერალური გეგმის პროექტის განხილვის პროცესებში.

აზრი გამოთქვა:

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა (საკრებულოს წევრი), ვერეს ხეობის გეოდინამიკური შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების არსებობის თაობაზე, რომლის საფუძველზეც ვერეს ხეობის ცალკეულ უბნებზე (მათ შორის, სხდომაზე ნახსენები ვერეს ხეობის კონკრეტული არეალებზე) დადგენილია მეწყერსაშიში ზონები.

ბ-ნმა მ. ბოლქვაძემ განმარტა, რომ შესაბამისი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მონიშნულია ის უბნები, რომლებიც მეწყერსაშიშ ზონებს წარმოადგენენ და ამ კვლევებში კონკრეტულად ის უბანი, რომელზეც საუბარია, არ არის მითითებული.

ქალბატონმა მ. ბითაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე) დამატებით ისაუბრა წინა წლებში გასხვისებული ტერიტორიების სამართლებრივი გზით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის (დაბრუნების) პროცესებზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქტურად მართავს კონსულტაციებსა და მოპალარაკებებს კერძო მესაკუთრეებთან, აღნიშნული საკითხის საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების მიზნით, ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნულ პროცესში ჩართულია სსიპ ქალაქ თბილისის ქონების მართვის სააგენტო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხდება იმ ტერიტორიების საკომპენსაციო თანხების დაანგარიშება, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს კერძო მესაკუთრეს.

შეკითხვა დასვა:

ქ-ნმა ა. გაბრიაძემ (ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცის" თავმჯდომარე) - დიღმის ტყე-პარკის ფუნქციური ზონისა და სტატუსის თაობაზე.

ქალბატონი ა. გაბრიაძის განმარტებით, აღნიშნული ტერიტორიის მოცულობითი ნაწილი წლების განმავლობაში შენარჩუნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტერიტორიის ნაწილი მაინც გასხვისდა (2008-2012 წ.წ.). გასხვისებისა და ფუნქციური ზონის ცვლილების საფუძველზე ტერიტორია განაშენიანდა. ამიტომ, საჭიროა დიღმის ტყე-პარკს მთლიანად აღუდგეს სტატუსი და ის ტერიტორიები, რომლებიც დღეს შეუსაბამო ფუნქციური ზონით არის დატვირთული, დაუბრუნდეს დედაქალაქს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ-ნმა ა. გაბრიაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, კომპანია „ანაგის“ საკუთრებაში არსებულ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის მქონე ტერიტორიაზე გაიცა მშენებლობის ნებართვა, რაც საჭიროებს დაუყოვნებლივ გაუქმებასა და ტერიტორიისთვის ნაცვლად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისა, ლადშაფტურ-სარეკრეაციო ზონის მინიჭებას. აღნიშნულის თაობაზე მან მიმართა როგორც ქალაქ თბილისის საკრებულოს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

გამომსვლელის (ა. გაბრიაძე) მიერ ასევე ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პროკურატურას გადაეცა შესაბამისი დოკუმენტაცია დიღმის ტყე-პარკის გასხვისებული ნაკვეთების კანონიერების დადგენის მიზნით.

ქ-ნი ა. გაბრიაძის მიერ დასმულ შეკითხვას პასუხი გასცა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომელმაც ისაუბრა დიღმის ტყე-პარკის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით განსაზღვრული სტატუსისა და მისთვის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის მინიჭების თაობაზე. ქ-ნმა მ. ბითაძემ ყურადღება გაამხვილა იმ ფაქტზე, რომ 2011 წელს განხორციელებული ცვლილებით ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე შეიცვალა ფუნქციური ზონა და მიენიჭა საზოგადობრივ-საქმიანი ზონა 2. დღეს ეს მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაშია და ვერ მოხერხდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის გავრცელება. თუმცა, აღნიშნული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ი შენარჩუნდება დიღმის ტყე-პარკის საკმაოდ მცირე ნაწილზე, რომელიც მდებარეობს ცენტრალური გზის გასწვრივ.

რაც შეეხება კომპანია „ანაგის“ საკუთრებაში არსებულ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის მქონე ტერიტორიაზე გაცემული მშენებლობის ნებართვას, ქ-ნმა მ. ბითაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, „კია მოტორსის“ ავტოსალონების ნაცვლად, იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის - საგამოფენო „ორანჟერიის“ აშენება.

ბ-ნმა რ. სოხაძემ დამატებით აღნიშნა, რომ განახლებული გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, დიღის ტყე პარკის უდიდეს ნაწილზე (210 000 კვ.მ.) გავრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი, ხოლო გზის მხარეს შენარჩუნდება არსებული ფუნქციური ზონა (სსზ-2), რადგან შეუძლებელია აღნიშნული ტერიტორიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოსყიდვა.

აზრი გამოთქვა:

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ საიტზე (www. Tas.ge), ინტერაქტიული რუკის მეშვეობით მოძიებული ინფორმაციით, განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ზონალურ რუკაზე, დიღმის ტყე-პარკზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3.

ქ-ნი ლ. ლიპარტელიანის შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ საიტზე (www. Tas.ge) დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი (ფუნქციური ზონების შეცდომით

მითითება), რაც გამოსწორებულია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გადაამოწმოს ინფორმაცია დიღმის ტყე-პარკის ფუნქციური ზონების თაობაზე.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა თ. შურღაიამ, რომელიც დაინტერესდა დიღმის ტყე-პარკის მესაკუთრის საკითხით და აღნიშნა, რომ დიღმის ტყე-პარკისთვის შესაბამისი ფუნქციური ზონის (ლსზ) მინიჭების თაობაზე მოსახლეობის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას იზიარებს.

ბ-ნი თ. შურღაიას მიერ დასმულ შეკითხვას პასუხი გასცა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომლის განმარტებით, დიღმის ტყე-პარკის იმ მოცულობით ნაწილს, რომელსაც მიენიჭება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი, ფლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო ის ნაწილი (გზის პირას, მცირე ზოლზე), რომელიც გადაცემულია კერძო საკუთრებაში და შეცვლილი აქვს ფუნქციური ზონის სტატუსი (2009-2011წ.წ.), შეუნარჩუნდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა თ. კალანდაძემ (არქიტექტორი (იურისტი)) - ვაკის პარკის სტატუსისა და საზღვრების დადგენის თაობაზე.

ბ-ნმა თ. კალანდაძემ ყურადღება გაამხვილა ვაკის პარკის საზღვრების პრობლემაზე და აღნიშნა, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში ვაკის პარკი გაშენდა 120 ჰექტარზე. დღევანდელი მონაცემებით კი ვაკის პარკის საზღვრებში მოქცეულია 34 ჰექტარი და ისიც საზოგადოების აქტიური ბრძოლისა და ჩარევის შედეგად.

ბ-ნმა თ. კალანდაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სანამ საზოგადოება გააპროტესტებდა სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობას ვაკის პარკში, პარკის დარეგისტრირებული ფართობი შეადგენდა 15 ჰექტარს, ხოლო საზოგადოების აქტიური ჩარევისა და მოძიებული ისტორიული დოკუმენტაციის საფუძველზე, ვაკის პარკის საზღვრებში დამატებით მოექცა 19 ჰექტარი (საერთო ჯამი: 34 ჰა.), რის გამოც, სასტუმრო „ბუდაპეშტი“ უკვე ვაკის პარკის შუაგულში აღმოჩნდა.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ვაკის პარკის საზღვრების დადგენა და მისთვის ისტორიული სტატუსის აღდგენა, რათა აღარ განმეორდეს სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობის მსგავსი პრეცედენტები.

ბ-ნი თ. კალანდაძის შეკითხვას უპასუხა ბ-ნმა მ. სალუქვაძემ (ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენელი), რომელიც დაეთანხმა ვაკის პარკის სტატუსის დადგენის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, დღემდე არ ჩატარებულა გამწვანებული ტერიტორიების ინვენტარიზაცია, რაც აუცილებელია გამწვანებული სივრცეების (პარკი, სკვერი, ბაღი და სხვ.) საზღვრებისა და სტატუსის დასადგენად.

აზრი გამოთქვა

ბ-ნმა რ. სოხაძემ რომელიც დაეთანხმება ბ-ნი თ.კალანდაძის აზრს და აღნიშნა, რომ საჭიროა აქტიური მუშაობა ამ მიმართულებითაც.

სხდომის დასასრულს, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ე. კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის განხილვის მომდევნო ეტაპისთვის გათვალისწინებული იქნას საკრებულოსა და კომისიის წევრების, ასევე მოწვეული სტუმრების მიერ სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნები და წინადადებები რეკრეაციული სივრცეებისა და ეკოლოგიური მიმართულებების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის განხილვის მომდევნო ეტაპისთვის გათვალისწინებული იქნას საკრებულოსა და კომისიის წევრების, ასევე მოწვეული სტუმრების მიერ სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნები და წინადადებები რეკრეაციული სივრცეებისა და ეკოლოგიური მიმართულებების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე